განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი # № ს13 -22, 24.11.2022

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება #17, 06.12.2022

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

არქეოლოგია

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური/ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0222 ისტორია და არქეოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: არქეოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Archaeology

სწავლის ხანგრძლივობა: 4 წელი (8 სემესტრი)

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ნონეშვილი, ელ. ფოსტა: sandro-none@yahoo.com

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები:

ა) ქართულ ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

ბ) უცხოური ენებიდან ერთ-ერთი შემდეგი ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი)

გ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: მათემატიკა/ისტორია/ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი). თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე

ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

საგანმანათლებლო პროგრამა სწავლობს კაცობრიობის ისტორიულ წარსულს, ნივთიერი კულტურის ძეგლების, არტეფაქტების, არქიტექტურული ძეგლების და ბიოფაქტების მიხედვით. იგი შეისწავლის საზოგადოების ისტორიას ადამიანთა სიცოცხლისა და საქმიანობის მატერიალური ნაშთების მიხედვით, იკვლევს ცალკეულ უძველეს საგნებს (შრომის და საბრძოლო იარაღები, ჭურჭელი, სამკაულები) და მთელ კომპლექსებს (ნასახლარები, ნაქალაქარები, განძები, სამაროვნები). მატერიალური ძეგლების ნაშთების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმ ეპოქების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის რესტავრაცია, რომლებიც წერილობით წყაროებში ნაკლებად ან საერთოდ არ არის აღწერილი.

არქეოლოგიური ძეგლები ერთადერთი წყაროა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის უდიდესი ნაწილის შესასწავლად. არქეოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს დამწერლობიანი ეპოქების ისტორიულად შესასწავლადაც. არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს და აზუსტებს წერილობითი წყაროების ცნობებს. არქეოლოგთა აღმოჩენილია თვით დამწერლობის უძველესი ძეგლებიც.

ნივთიერი ძეგლების მოსაპოვებლად ტარდება არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც ჩვეულებრივ წინ უძღვის არქეოლოგიური დაზვერვა. განათხარი მასალის შესწავლისას არქეოლოგია ეყრდნობა ნივთიერი ძეგლების ასაკის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის საკუთარ მეთოდებს. ამგვარი შესწავლის შემდეგ არქეოლოგიური ძეგლი ისტორიულ წყაროდ იქცევა. არქეოლოგია ნივთიერი წყაროების მონაცემთა საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეკონსტრუქციას. ვინაიდან ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების ყოველ საფეხურზე ნივთიერი კულტურა და ყოფა კანონზომიერადაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასთან.

არქეოლოგიის მიზანია ადამიანთა კულტურის, ისტორიის, კულტურული ევოლუციისა და ადამიანთა ქმედებისა და ეკოლოგიის საწყისებისა და განვითარების კვლევა. ეს ერთადერთი დისციპლინაა, რომელსაც

ხელთ აქვს ადამიანის დამწერლობამდელი ისტორიის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ინტერპრეტაციისთვის საჭირო მეთოდები და თეორია. მას ასევე კრიტიკული წვლილი შეაქვს ისტორიულად დოკუმენტური საზოგადოებების შესახებ ჩვენს წარმოდგენაზე.

ზემოაღნიშნული ნათლად ასახავს არქეოლოგიის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელობას.

პროგრამის მიზანი

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს. საგანმანათლებლო პროგამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე არქეოლოგები, რომლებიც შეძლებენ:

1. მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების, საქართველოსა და მსოფლიო კულტურის სისტემაში მისი ადგილის კვალიფიციურად განსაზღვრას; კონკრეტული არტეფაქტისა თუ ძეგლის სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის, მისი მატერიალურ კულტურული ფასეულობის დადგენას და შესაბამისი პოზიციის ჩამოყალიბებას.

2. არქეოლოგიის ცალკეული პერიოდების დინამიკისა და მისი მომიჯნავე დარგების (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) ურთიერთკავშირის შესახებ მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელებას, არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობას.

3. საბაზო კვლევის თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებითა და ეთიკური ნორმების დაცვით ქვეყნის მდიდარი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, წარმოჩენას და შენარჩუნებას. ასევე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მორალურ-ეთიკური ნორმების გათვალისწინებით პროფესიულ სფეროში ნაყოფიერ საქმიანობას.

სწავლის შედეგები

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე დონეს (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. განმარტავს არქეოლოგიის საგანსა და მნიშვნელობას, მის სპეციფიკასა და ადგილს ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველებო მეცნიერებათა სისტემაში; აყალიბებს არქეოლოგიური კვლევის პროცესს - მასალის მოგროვებიდან გარდასულ საზოგადოებათა ისტორიის რეკონსტრუქციამდე;

2. განიხილავს არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას. ახდენს მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების იდენტიფიცირებას, ნივთების ტიპოლოგიურ

კლასიფიკაციასა და ინტერპრეტაციას; განიხილავს კონკრეტული არტეფაქტისა თუ ძეგლის სამეცნიერო და ეროვნულ მნიშვნელობას. განარჩევს მის ზოგად კულტურულ ფასეულობას;

3. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა/რეკონსტრუქციას. განიხილავს ისტორიულ-გეოგრაფიული ლანდშაფტის ფორმირების საკითხებს.

4. აღწერს კაცობრიობის ისტორიის განვითარების ეტაპებს. განარჩევს ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ნიმუშებს. განიხილავს საქართველოს ნივთიერ კულტურას მსოფლიო ისტორიული განვითარების კონტექსტში.

უნარები

5. აფასებს როგორც საკუთარ, ასევე არქეოლოგიურ მეცნიერებაში გამოთქმულ შეხედულებებს, შეაჯამებს ძირითად დებულებებს და წარადგენს მათ შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

6. მოიძიებს სხვადასხვა სახის წყაროს (ბიბლიოთეკები, არქეოლოგიური ფონდები, არქივები და სხვ.), აანალიზებს, ახდენს მათ ინტერპრეტირებას, მსჯელობს თანმიმდევრულად და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; ეთიკური სტანდარტების დაცვითა და შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ატარებს კვლევას.

7. დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების (ანალიზი და სინთეზი) გამოყენებით აანალიზებს ახალ და განყენებულ მონაცემებს; იყენებს სოციალურ და საკომუნიკაციო უნარებს.

8. ფლობს საველე არქეოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ კომპეტენციასა და პრაქტიკულ უნარებს: გეოსაინფორმაციო სისტემის გამოყენებით, ახდენს მოპოვებული ინფორმაციის დაფიქსირებას, დამუშავებასა და ანალიზს; წინასწარ ადგენს შესასრულებელი სამუშაოების გეგმას და ეფექტურად მართავს დროს.

9. ახდენს არქეოლოგიურ მასალაზე კამერალური სამუშაოების ჩატარებას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს მათ სავარაუდო თარიღს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

10. აცნობიერებს ცალკეულ არქეოლოგიურ კულტურულ ღირებულებებს და მათ შესახებ არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს; საველე და კვლევითი სამუშაოების წარმართვის პროცესში იცავს პროფესიული კეთილსინდისიერებისა და ობიექტურობის, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის **დანართი 1** – პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. პროგრამის **დანართი 2** - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა).

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნა-რების მიღწევას და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ.

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწვლება სწავლის მეთოდები და აქტივობებია:

ლექცია - შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც ლექტორიც და სტუდენტიც ერთდროულად მონაწილეობენ. ლექციის მთავარი მიზანია შემოთავაზებული მასალის ძირითადი არსის შემოქმედებითი და აქტიური გადაცემა. ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ძირითად ცნებებს, მათ განმარტებებს, მითითებებსა და ვარაუდებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე უმთავრესი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია გულისხმობს საგნის ძირითადი დებულებების და სასწავლო მასალის თანმიმდევრულად გადმოცემას. ლექცია მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- **ახსნა-განმარტება** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც ლექტორი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს, განმარტავს მათ მაგალითებით და პასუხობს გაჩენილ კითხვებს. ლექციის ფარგლებში ახსნა-განმარტების გზით ლექტორი უადვილებს სტუდენტებს დამოუკიდებლად დასამუშავებელი მასალის გაგება-გააზრებას.

- **ინტერაქტიული მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში თემის დამუშავებას სტუდენტებთან აქტიური დიალოგის ფორმატში. ინტერაქტიული მუშაობა იძლევა სტუდენტთა ყურადღების მიპყრობისა და შენარჩუნების, ისევე როგორც ლექციის მსვლელობისას მიწოდებული ახალი ინფორმაციის გააზრების დონის განსაზღვრის საშუალებას.

- **აუდიო-ვიზუალური მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში სტუდენტებისთვის მასალის აუდიო და/ან ვიზუალური გზით მიწოდებას ისეთი ელექტრონული და/ან მატერიალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სლაიდები, ვიდეო რგოლები, აუდიო ჩანაწერები, ფოტოები და სხვა. პრეზენტაციისას სტუდენტებში ერთდროულად აქტიურდება სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრების მაღალ ხარისხს.

- **დემონსტრირება** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს სწავლებას კეთებით, რა დროსაც ლექტორი დამკვირვებლების რეჟიმში მყოფ სტუდენტებს აჩვენებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტული თეორიული ან პრაქტიკული დავალება. დემონსტრირების მიზანია თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის სხვადასხვა შემადგენელი და დაკონკრეტდეს, რისი გაკეთება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობისას.

პრაქტიკული მუშაობა - სწავლა-სწავლების პრაქტიკული მეთოდი, რომლის დროსაც ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში და შესაბამისად, აძლევს გამოცდილებით სწავლის საშუალებას. აღნიშნული აქტივობა მიზნად ისახავს ლექციებზე და დამოუკიებელი მუშაობის შედეგად მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკაში გადატანის უნარის განვითარებას.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აერთიანებს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტუდენტს კოგნიტურთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტების ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა წარიმართება სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტული თემატიკის დაუფლების მიზნით გაწერილი სასწავლო აქტივობების (დისკუსიის, დებატების, სავარჯიშოებზე მუშაობის, შემთხვევების შესწავლის, სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობის, წერითი მუშაობის, პრეზენტაციის და სხვა) გამოყენებით. ამ მეთოდის მიზანია სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი

თემების გარშემო ცოდნის გაღრმავება-დაკონკრეტების საშუალება, ხელი შეუწყოს პრაქტიკული ხასიათის აქტივობების განხორციელებით სტუდენტთა ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა და პრაქტიკული მუშაობა ითვალისწინებს შემდეგ აქტივობებს:

- **გონებრივი იერიში (Brainstorming)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ კონკრეტული საკითხის შესახებ სტუდენტებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის შეგროვებას, კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას. გონებრივი იერიშის შედეგების უკეთესი ვიზუალიზაციისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენტალური რუკაც.

- **დისკუსია/დებატები** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტები განიხილავენ ლექტორის მიერ წამოჭრილ პრობლემას/თემას/საკითხს და ცვლიან აზრებს. დისკუსია ემსახურება ლექციის და დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად შეძენილი ცოდნის გაღრმავება-განმტკიცების მიზანს, და ამასთან უვითარებს სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარებს. დისკუსია შეიძლება გადაიზარდოს დებატებშიც, რა შემთხვევაშიც ხდება შეხედულებათა შეპირისპირება, სტუდენტები სვამენ კრიტიკულ კითხვებს და მიმართავენ დარწმუნების ხერხებს.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც ამოსავალ წერტილად იღებს პრობლემას. სტუდენტები ცდილობენ ლექტორის მიერ წამოჭრილი პრობლემის გაგება-გააზრებას და ეძებენ მისი მოგვარების საუკეთესო გზას, რა დროსაც აქტუალური საჭიროებების საფუძველზე იძენენ ახალ ცოდნას და გამოიმუშავებენ პრობლემების გადაჭრის უნარს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მიმდინარეობს ღია და მხარდამჭერ გარემოში, სადაც ლექტორი ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ პროცესის ფასილიტატორის როლს.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა მცირე ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. მცირე ჯგუფებად დაყოფილ სტუდენტებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეძლევა რაიმე სასწავლო დავალება (სიტუაციის ანალიზი; გეგმის/სტრატეგიის შეფასება; პროექტის ან/და დოკუმენტის მონახაზის შექმნა; პრობლემის იდენტიფიცირება და გადაწყვეტა და სხვა), რომლის შესასრულებლად ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ეხმარება სტუდენტს საკუთარი აზრის არგუმენტირების, სხვისი აზრის მოსმენის, შეზღუდულ დროში სწრაფი ანალიზის უნარის გამომუშავებაში.

- **სავარჯიშოებზე მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექტორის ზედამხედველობისა და შემდგომი უკუკავშირის ფორმატში, სტუდენტების მიერ დროის დათქმულ მონაკვეთში სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულებას თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარების მიზნით.

- **შემთხვევის შესწავლა (Case Study)** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტები ახორციელებენ ისეთი შემთხვევის (ქეისის) ანალიზს, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია/გამონაკლისია კონკრეტული დარგისთვის. ანალიზი გულისხმობს შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, მის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, მათ

ახსნასა და ინტერპრეტირებას. შემთხვევის შესწავლის გზით სტუდენტებს უვითარდებათ ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე დასკვნის გაკეთების უნარი.

- **სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტები რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ (სიმულაციურ) სიტუაციაში ლექტორის მიერ მინიჭებული როლების შესაბამისად წყვეტენ დასმულ ამოცანებს. სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა არის პრაქტიკული ტრენინგი, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ისევე როგორც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. ჯგუფური და სტანდარტიზებული სიმულაციის შემთხვევაში, სიტუაციური ამოცანა იღებს როლური თამაშის ფორმას, რაც დამატებით სტუდენტებს აძლევს საშუალებას საკითხს/პრობლემას მრავალმხრივი პერსპექტივიდან ეზიარონ.

- **დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (Task-Based Learning - TBL)** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი აქტივობაა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შედეგების მიღწევაში. დავალებაზე / ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში სწავლება მიმდინარეობს სტუდენტებისათვის სხვადასხვა სასწავლო დავალებების (რომელიც შეიძლება მიწოდებული იყოს კონკრეტული სიტუაციის, სავარჯიშოს, პრაქტიკული დავალების ან რაიმე სხვა სახით) და მათი შესრულების ინსტრუქციების კომბინირებით. სწავლების პროცესში ამ აქტივობის გამოყენებისას ლექტორის ამოცანაა - სწავლის ხელშეწყობა დავალებების მომზადება-შეფასების გზით; ხოლო, სტუდენტის წინაშე დასახულია კონკრეტული დავალება/ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად. აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლას, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას.

- **წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა** - გამოიყენება სტუდენტის კოგნიტური უნარების (ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, წაკითხულის გააზრება, წერითი კომუნიკაცია), აგრეთვე, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. წიგნზე მუშაობა გამოიყენება უპირატესად სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დამოუკიდებლად გაცნობის, შესაბამისი მასალის შესწავლის, მიცემული საკითების დამუშავებისა და ანალიზისათვის. აღნიშნული საჭიროა სხვადასხვა სახის საშინაო დავალების: საპრეზენტაციო მოხსენებების, დებატების, დისკუსიების, რეფერატის მოსამზადებლად და ეხმარება სტუდენტს მასალის ათვისებაში, გამოუმუშავებს რელევანტური ლიტერატურის, საინფორმაციო წყაროების, საკანონმდებლო და სხვა მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებისა და დასკვნის გაკეთების უნარ-ჩვევებს. წერითი მუშაობა გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესსეს შესრულებას, სიტუაციის წერილობით ანალიზს, ანგარიშის ან/და სხვა წერილობითი დოკუმენტის მომზადებას, და სხვ. პროგრამის განხორციელების პროცესში, წერითი მუშაობა გამოიყენება უპირატესად წაკითხული ლიტერატურის დ/ან საინფორმაციო წყაროდან/აუდიო-ვიზუალური მასალიდან მთავარი ამონარიდის გაკეთებისას, ქეისის წერილობითი ანალიზისას, წერითი დავალებების/სავარჯიშოების შესრულების, ესსეს ან რეფერატის შესრულებისას, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას და სხვა.

- **ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning)** – აქტივობა ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების პროცესში, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში, კონკრეტული სპეციფიკური თემების/საკითხების დაუფლების მიზნით ელექტრონული რესურსების გამოყენებას და სწავლებას ინტერნეტით, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტით და/ან მულტიმედიური საშუალებებით. ელექტრონული რესურსებით სწავლება სტუდენტს აძლევს დარგობრივი ცოდნის გაღრმავების

შესაძლებლობას, უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება-სისტემატიზების, გადაწყვეტილების მომზადება-მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

- **პრეზენტაცია** - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი აქტივობაა, რომლის დროსაც სტუდენტები მოიძიებენ რელევანტურ მასალებს წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგენენ მას ჯგუფის წინაშე ტექნიკური საშუალებების / სადემონსტრაციო მასალების გამოყენებით. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრეზენტაცია შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობის შედეგად. პრეზენტაციის უმთავრესი მიზანია შერჩეული საკითხის დამუშავებისათვის საჭირო წყაროების მოძიება-დამუშავების ჩვევების გამომუშავება, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს/საკუთარი კვლევის შედეგების, არგუმენტირებული ორიგინალური დასკვნების / რეკომენდაციების სახით, ზეპირი ფორმით წარდგენისა და განხილვაში/დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების განმტკიცება. წარმოდგენილი პრეზენტაცია მიგვითითებს სტუდენტ(ებ)ის მიერ განვლილი მასალის ცოდნასა და შეძენილ უნარებზე.

- **პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning-PBL)** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი აქტივობა, რომელიც აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტების შემუშავება (ისევე, როგორც ზოგადად, ამ პროექტზე დაფუძნებული სწავლება) კონკრეტული სასწავლო პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტის მომზადება მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

- **შედარებით-ისტორიული ანალიზი** - გამოიყენება სტუდენტის კოგნიტური (ანალიზი, წაკითხულის გააზრება, სინთეზი, სტატისტიკური, აღწერითი, რაოდენობრივი, შედარებითი) უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით. აღნიშნული აქტივობა გულისხმობს ისტორიული მონაცემების (საარქივო, წერილობითი წყაროები) ანალიზს, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ახდენს წერილობით წყაროებში დაცული ისტორიული ფაქტებისა და მათი ავტორების ინტერპრეტაციას, ისტორიული დოკუმენტების სანდოობის შეფასებას, ისტორიული თარიღებისა და ფაქტების შედარებას, საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებას.

- **შედარებით-არქეოლოგიური ანალიზი** - სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი აქტივობაა, რომლის დახმარებითაც ხდება მატერიალური კულტურული ობიექტების იდენტიფიცირება, მათი მახასიათებლების (მსგავსება/ცვალებადობის) ურთიერთშედარება და მათ საფუძველზე, მიახლოებითი თარიღის განსაზღვრა; აღნიშნული აქტივობა სტუდენს უვითარებს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გამოვლენილი არტეფაქტების შედარებითი ანალიზის უნარს.

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - გულისხმობს სტუდენტისა და ლექტორის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების ფარგლებში ყოველი ახალი თემა იწყება ლექციით, ხოლო სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკური მუშაობა ახალი მასალის სათანადოდ გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით, რომლის მიზანია: სტუდენტს აღუძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი, პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად კვლევისა და

სიღრმისეულად შესწავლის სურვილი (რაც დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევის, კრიტიკული ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა); ასევე, განუვითაროს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებით გასავლელი თემების/ცალკეული საკითხების გარშემო ინფორმაციის დამოუკიდებლად (სასწავლო კურსის ხელმძღვანელის ჩართულობის გარეშე) მოძიება-დამუშავების, დავალების შესრულებისათვის რესურსების განსაზღვრის, საკუთარი აკადემიური შესაძლებლობის შეფასების და ცოდნის განმტკიცებისათვის სწავლის მეთოდის/სტრატეგიის შერჩევის (სწავლის) უნარ-ჩვევები. დამოუკიდებელი მუშაობა მოიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობას. დამოუკიდებელ საათებში მითითებულია დრო, რომელიც შეიძლება დასჭირდეს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტს სასწავლო მასალის დამოუკიდებელი მუშაობით ათვისებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. პროგრამის **დანართი 3** – სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა).

პროგრამის მოცულობა

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრს) და მოიცავს 240 კრედიტს (6000 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 40 კვირას, ერთი სემესტრი 20 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 5 კვირა კი სასესიო. მე-8 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე–17 და მე–18 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო მე–19 და მე–20 კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის:

სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარებაზე - 29 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი - 12 კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი - 7 კრედიტი) – 155 კრედიტი;

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 31 კრედიტი;

არჩევითი თავისუფალი კომპონენტი, რომელიც ასევე ორიენტირებულია ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებაზე და რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 25 კრედიტი.

არჩევითი თავისუფალი კომპონენტის კრედიტები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს სასწავლო კურსები უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის ნებისმიერი საგანმანთლებლო პროგრამიდან, შესაძლებელია ათვისებულ იქნას არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებით.

სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება ან პროგრამის ფარგლებში მიღწევა. სტუდენტი ინგლისური ენის ცოდნის დონეს ადასტურებს „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში სტუდენტი ინგლისური ენის სწავლას იწყებს „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ მიხედვით დადასტურებული დონიდან. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობას, იგი პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლას იწყებს აღნიშნული წესის მიხედვით დადასტურებული შესაბამისი დონიდან (ინგლისური ენა A1 / ინგლისური ენა A2). ინგლისური ენის B1 დონეზე დასაწყებად საჭირო დონეებს (ინგლისური ენა A1 / ინგლისური ენა A2) სტუდენტი სწავლობს პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ათვისებით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად ადასტურებს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობას, იგი თავისუფლდება ინგლისური ენის კომპონენტის ათვისებისგან და ინგლისური ენისთვის განკუთვნილ კრედიტებს (20 კრედიტი) ითვისებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებით. თუ სტუდენტის მიერ დადასტურებული დონე უფრო მაღალია, ვიდრე პროგრამით განსაზღვრული საწყისი დონე (B1.1), დარჩენილი კრედიტების მოცულობას სტუდენტი ივსებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებით.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად მისაღები კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია დანართით პროგრამის სასწავლო გეგმა (იხ. **დანართი 5**).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი პროგრამის კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი მოიპოვებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკური მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით

წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50% + 1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებისათვის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებები. განმავითარებელი შეფასების გამოყენების მიზანია სტუდენტის განვითარების ხელშეწყობა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება. განმსაზღვრელი შეფასების გამოყენების მიზანი კი არის სწავლის ხარისხის გაკონტროლება, სასწავლო კურსის სილაბუს(ებ)ით დადგენილი შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება, აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა.

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

დისკუსია/დებატები - შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ კონკრეტულ პრობლემას/თემას/საკითხს და ფასდებიან არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების, დასკვნის გაკეთების, თვითრეფლექსიის, ანალიტიკური უნარების და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.

პრეზენტაცია - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის, რეფერატის ან საბაკალავრო ნაშრომის ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით წარდგენის შეფასებას. პრეზენტაცია ამოწმებს სტუდენტის გადმოცემის მანერას, ტექნიკასთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას, აუდიტორიასთან მუშაობის უნარს, კითხვებზე პასუხების გაცემის, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს და სხვა.

რეფერატი - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან წიგნების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს რეფერატის წარდგენა კლასის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.

პროექტი - შეფასების მეთოდი, რომელიც ამოწმებს სტუდენტ(ებ)ის მხრიდან კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შედეგებს. პროექტი მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის (პრეზენტაციის) ეტაპებს და იგი შეიძლება, განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. როგორც წესი, პროექტის საკითხებს სტუდენტ(ებ)ი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ კლასს, თუმცა არსებობს მინი და შესაბამისად, ხანმოკლე დროში განხორციელებადი პროექტებიც. როგორც შეფასების მეთოდი, პროექტი ავლენს სტუნდეტის კვლევით, შემოქმედებით, და კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, ხოლო ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში - თანამშრომლობის უნარსაც.

ქვიზი - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას ღია ან/და დახურული შეკითხვებით. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა.

ტესტი - (დახურული შეკითხვებით) - საშუალებას იძლევა მოკლე დროში შემოწმდეს მნიშვნელოვანი მოცულობის მასალის ცოდნის დონე, აგრეთვე, საკვანძო საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებისა და დეტალებზე ორიენტირების უნარი. დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებს არჩევანის გაკეთება უწევთ ალტერნატიულ ვერსიებს შორის

თეორიული საკითხი/თემა/ღია კითხვა - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტისთვის თავისუფალი ხასიათის წერითი დავალების მიცემას, რომელიც არ არის სტანდარტიზებული, თუმცა განსაზღვრულია თემატიკა და/ან სათაური, რომელზე დაყრდნობითაც სტუდენტს ევალება პასუხის დაწერა. შეფასების მეთოდი საშუალებას იძლევა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორად ესმის სტუდენტს დასმული კითხვის შინაარსი, განსახილველი საკითხი. შეფასების პროცესში ვლინდება პროგრამით გათვალისწინებული მასალის ფლობის დონე და ხარისხი, ინფორმაციის/მონაცემების კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, დასკვნების დამოუკიდებლად, ლოგიკურად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბების უნარი.

სამუშაო ჯგუფში აქტიურობა/ზეპირი გამოკითხვა - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტისთვის კითხვების დასმას ლექციის დროს ახსნილი და მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის შესახებ მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და შეფასების მიზნით. ზეპირი გამოკითხვის შეფასებისას სტანდარტულად ექცევა ყურადღება სტუდენტის სისხარტეს, პასუხების

ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების სიზუსტეს, გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს, დამაჯერებლობას და სხვა.

პრაქტიკული სავარჯიშო/დავალება - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია.

რეცენზირება - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ ერთმანეთის შესრულებული ნაშრომების განხილვასა და შეფასებას წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად. აღნიშნული მეთოდი სტუდენტებს განუვითარებს თვითშეფასებისა და კრიტიკული აზროვნების უნარს.

პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ცხრილი, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები, მითითეულია შეფასების დონეები და რუბრიკები, ასევე, განსაზღვრულია შედეგების შეფასების პერიოდულობა, წარმოდგენილია პროგრამის დანართის სახით (იხ. პროგრამის **დანართი 4** - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება) .

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება

საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესით“ დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასება მოიცავს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებებს (60 ქულა), ხოლო დასკვნითი შეფასება გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის კომისიის წინაშე დაცვას (40 ქულა). საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმების და შეფასების შესახებ სხვა დეტალები იხ. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.

პრაქტიკის შეფასება

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სავალდებულო სასწავლო კომპონენტის სახით ითვალისწინებს საველე პრაქტიკას. აღნიშნული კომპონენტი ისწავლება 3 სემესტრის განმავლობაში და ჯამში ეთმობა 12 კრედიტი.

პრაქტიკის კომპონენტი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესით“ დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და საველე პრაქტიკის სილაბუსებით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

საველე პრაქტიკის ფარგლებში, სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე მეთვალყურეობას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკის ბოლოს, სტუდენტი წერს ანგარიშს, წინასწარ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად და იცავს მას სპეციალურად შექმნილი კომისიის წინაშე. სტუდენტის მიერ საველე პრაქტიკის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები ფასდება შუალედური შეფასებით, რომელიც მოიცავს პრაქტიკის ხელმძღვანელის შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომლის დროსაც სტუდენტი წარმოადგენს პრაქტიკის

ანგარიშს. პრაქტიკის დაცვა ხორციელდება შესაბამისი კომისიის წინაშე (პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებისა და შეფასების შესახებ სხვა დეტალები იხ. საველე პრაქტიკის სილაბუსებში).

დასაქმების სფერო

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებული მზადაა სიძველეთა პროფილის მქონე საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო, მეთოდიკური საქმიანობისათვის. მას შეუძლია დასაქმდეს არქეოლოგიურ ექსპედიციებში სპეციალისტად, მუზეუმში სპეციალისტად, ექსკურსიამძღოლად, ბიბლიოთეკაში სპეციალისტად, ტურისტულ კომპანიაში ისტორიული ძეგლების ექსკურსიამძღოლად, მასმედიაში (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო რედაქციაში) არქეოლოგ-ექსპერტად, ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში (მათ შორის, სამთავრობო უწყებებში) სიძველეთმცოდნის ექსპერტად, არქივებში სპეციალისტად, არქივარიუსად, კერძო გალერეებში, სახელმწიფო მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტოში, საერთაშორისო და ადგილობრივ არქეოლოგიურ პროექტებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, კანომდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები, კერძოდ:

ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი, სამეცნიერო ჟურნალი - „არქეოლოგია“, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის და ევროპის უნივერსიტეტის მუზეუმის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე არქეოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესაძლებლობა. სტუდენტთა განკარგულებაშია ევროპის უნივერსიტეტის რეგულარულად მოქმედი და სხვა საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციების ბაზა, ახლად მოპოვებული და მუდმივად შევსებადი ისტორიულ-არქეოლოგიური მასალა.

ევროპის უნივერსიტეტის კორპუსში განთავსებულია არქეოლოგიური მასალის საცავი, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ არტეფაქტებზე კამერალური სამუშაოები აწარმოონ.

უნივერსიტეტის შენობა აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი ინვენტარით: სასწავლო აუდიტორიები, საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფითა და ინტერნეტით, კომპიუტერული კლასები, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო

ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო კურსებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისა და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული სწავლების საშუალებას იძლევა.

უნივერსტიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში შეფასების პროცესის მხარდაჭერას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე ქმნის უნივერსიტეტში მუშაობისა და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისათვის ხელსაყრელ სამუშაო გარემოს.

ევროპის უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სილაბუსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა. ამას გარდა, ევროპის უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე: Elsevier, EBSCO EP Package ELITE, eIFL - ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის.

სტუდენტთა პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფა ხდება ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული რესურსების გამოყენებით და ამასთანავე, მემორანდუმების ფარგლებში თანამშრომლობით შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი;
- ა(ა)იპ რუსთავის ისტორიული მუზეუმი;
- სსიპ აჭარის მუზეუმი;
- სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო);
- გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი (აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო)
- პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი (აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო)

პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით (იხ. **დანართი 6**). საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

შენიშვნა: არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

პროგრამის ხელმძვანელი:

პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

გიორგი მუნჯიშვილი